ქ. თბილისი

ქუჩა, სულხან ცინცაძე №57

ს/კ 01.10.14.028.089

დემონტაჟის პროექტი



შპს არქიბრამ

სარჩევი

I სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება

II დასანგრევი შენობის დახასიათება და ნგრევის პირობები

III ნგრევის ხანგრძლივობის დადგენა

IV დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაპები

V დემონტაჟის წარმოების წესები და მეთოდები

VI რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

VII მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

VIII ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

IX მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ნორმატიული ბაზა – გენგეგმა, დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გეგმა

X სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების კალენდარული გრაფიკი

დანართი 1

- გენგეგმა;
- გეგმები, ჭრილები, ფასადები, 3დ.
- არსებული სიტუაციის ფოტომასალა;

საქართველო. შპს "არქიგრამ" ARCHIGRAM 204998320 "ARCHIGRAM" LTD

	დამკვეთი	დირექტორი	პ. ნუცუბიძე			შპს არქიგრამ
		პრ. ავტორი	გ. ბურგულაძე			
		შესრულა				
	საპროექტო ობიექტის მისამართი	ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
	ქალაქი თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე №57			A4		15.12.2018
		სტადია				
		პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა				

ქ. თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე №57
ს/კ 01.10.14.028.089 , არსებული ნაგებობის

დემონტაჟის პროექტი

I. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება

1.1 სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. თბილისში, ქუჩა სულხან ცინცაძე №57, ს/კ 01.10.14.028.089 ნაკვეთის ფართობი 4540 მ². საკადასტრო მონაცემების მიხედვით ნაკვეთზე რეგისტრირებულია ერთი შენობა: 01/1. შენობა აშენებულია წინა საუკუნის 70-ან წლებში, შენობა წარმოადგენს ადრეული გათბობა, წყალმომარაგების სისტემისთვის განკუთვნილ საკვამურ მილს, რომლის მიწისპირა საწყისი დიამეტრი 4 მეტრია და სიმაღლე 58 მ. შენობა ძირითად წითელი აგურითაა აშენებული და შეჯრულია ლითონის სალტეებით.

ამ ეტაპისთვის შენობის ძირეული ნაწილი დემონტიზირებულია, დარჩენილია შენობის ქვედა ნაწილი, რომელიც წარმოადგენს შენობის საწყის ზედა და ქვედა საძირკველს, რომელიც რკინა-ბეტონის კონსტრუქციისაა.

1.2 (აღნიშნული ეტაპი შესრულებულია მოთხოვნის შესაბამისად) ნაგებობების დემონტაჟის წინ აუცილებელია არსებული ქსელების ჩაჭრა, საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით.

1.3 საპროექტო ტერიტორია სრულად შემოღობილია და არ საჭიროებს დროებითი ღობის განთავსებას თუმცა დაგეგმილია ნაწილი არსებული ღობის დემონტაჟი, რათა ჩამოყალიბდეს გახსნილი საზოგადოებრივი სივრცე.

1.4 დემონტაჟის პერიოდში განთავსდეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ბანერი დემონტაჟის წარმოებაზე და უსაფრთხოების ღონისძიებებზე. გამოყენებულ იქნას არსებული ინფრასტრუქტურა. ასევე დაცული უნდა იყოს ღონისძიებები მტვრის გაბნევისაგან, ამიტომ დაშლის ადგილები სასურველია დაინამოს.

	დამკვეთი	დირექტორი	პ. ნუცუბიძე			შპს არქიგრამ
		პრ. ავტორი	გ. ბურგულაძე			
		შესრულა				
	საპროექტო ობიექტის მისამართი	ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
	ქალაქი თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე №57			A4		15.12.2018
		სტადია				
		პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა				

II. დასანგრევი შენობების დახასიათება და ნგრევის პირობები

2.1. წარმოდგენილი გენგეგმით სადემონტაჟო ფართი შეადგენს 48.7 მ²-ს. შენობა-ნაგებობა არის ერთ სართულიანი. საკადასტრო მონაცემების მიხედვით ნაკვეთზე რეგისტრირებულია ერთი შენობა: 01/1 შენობა აშენებულია წინა საუკუნის 70-ან წლებში, შენობა წარმოადგენს ადრეული გათბობა, წყალმომარაგების სისტენისთვის განკუთვნილ საკვამურ მილს, რომლის მიწისპირა საწყისი დიამეტრი 4 მეტრია და სიმაღლე 58 მ. შენობა ძირითად წითელი აგურითაა აშენებული და შეკრულია ლითონის სალტეებით.

ამ ეტაპისთვის შენობის ძირეული ნაწილი დემონტიზირებულია, დარჩენილია შენობის ქვედა ნაწილი, რომელიც წარმოადგენს შენობის საწყის ზედა და ქვედა საძირკველს, რომელიც რკინა-ბეტონის კონსტრუქციისაა. დარჩენილი ნაწილის სიმაღლე დაახლოებით 14.8 მ.–ია

2.2 ტექნიკური მაჩვენებლები:

სადემონტაჟო შენობის №	ს/შ ფართობი გარე კონტურზე მ²	ს/შ სავარაუდო მოცულობა 0.00 ნიშ. ზემოთ მ³	ს/შ სავარაუდო მოცულობა 0.00 ნიშ. ქვემოთ მ³	ს/შ კონსტრუქციული სიმაღლე მ/პ-დან. ზემოთ მ.	ს/შ კონსტრუქციული სიმაღლე მ/პ-დან. ქვემოთ მ.
01/1	48.7	2435.	146.1	58	3.0

შენიშვნა: აღნიშნული მონაცემები დათვლილია არსებული შენობის წარმოდგენილი არქიტექტურული ნაწილის მიხედვით;

2.3 დემონტირებული კონსტრუქციები და მასალები დემონტაჟის პროცესშივე დაიტვირთება ავტოთვითმცლელებზე და გატანილ იქნება სამშენებლო მოედნიდან.

საქართველო. შპს "არქიგრამ" ARCHIGRAM 405998320 "ARCHIGRAM" LTD

	დამკვეთი	დირექტორი	პ. ნუცუბიძე			შპს არქიგრამ
		პრ. ავტორი	გ. გურგენიძე			
		შესრულა				
	საპროექტო ობიექტის მისამართი	ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
	ქალაქი თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე №57			A4		15.12.2018
		სტადია				
		პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა				

III. ნგრევის ხანგრძლივობის დადგენა

3.1 სადემონტაჟო ფართი შეადგენს 48,7 მ^2-ს. შენობა ნაგებობა არის ერთ სართულიანი. საკადასტრო მონაცემების მიხედვით ნაკვეთზე რეგისტრირებულია სამი შენობა: 01/1, შენობა აშენებულია წინა საუკუნის 70-ან წლებში, შენობა წარმოადგენს ადრეული გათბობა, წყალმომარაგების სისტენისთვის განკუთვნილ საკვამურ მილს, რომლის მიწისპირა საწყისი დიამეტრი 4 მეტრია და სიმაღლე 58 მ. შენობა ძირითად წითელი აგურითაა აშენებული და შეკრულია ლითონის სალტეებით.

ამ ეტაპისთვის შენობის ძირეული ნაწილი დემონტიზირებულია, დარჩენილია შენობის ქვედა ნაწილი, რომელიც წარმოადგენს შენობის საწყის ზედა და ქვედა საძირკველს, რომელიც რკინა-ბეტონის კონსტრუქციისაა. დარჩენილი ნაწილის სიმაღლე დაახლოებით 14.8 მ.–ია

3.2 აღნიშნულის საფუძველზე შედგა დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გრაფიკი იხ. ფურცელი დპ-9.

V. დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაპები

4.1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-0I-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია” მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვას.

4.2. დემონტაჟის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება დემონტაჟზე;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- საკადასტრო გეგმა;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება;
- ობიექტის არქიტექტურული პროექტი;
- არსებული ფოტომასალა;

4.3. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობით.

4.4. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

	დამკვეთი	დირექტორი	პ. ნუცუბიძე		შპს არქიგრამ	
		პრ. ავტორი	გ. ბურგულაძე			
		შესრულა				
	საპროექტო ობიექტის მისამართი	ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
	ქალაქი თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე №57			A4		15.12.2018
		სტადია				
		პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა				

4.5. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე შესაბამისი სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ.

(აღნიშნული ეტაპი შესრულებულია მოთხოვნის შესაბამისად) მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს დროებითი შენობების განთავსება, რომლის დემონტაჟიც მოხდება ძირითადი შენობის დემონტაჟისა და მისი ნანგრევებისგან ტერიტორიის სრულად დასუფთავების შემდეგ. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

(შენობის დემონტაჟის მეთოდად მიჩნეული იქნა სამრეწველო ალპინიზნის გამოყენება, რაც გულისხმობს შენობის დაშლაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ალპინიზმის განხრით მომზადებულმა პროფესიონალმა პერსონალმა.

აღნიშნული მეთოდი გამო ენებული იქნა შენობის ძირითადი ნაწილის სადემონტაჟოდ და ამ ეტაპისთვის შენობის ძირეული ნაწილი დემონტიზირებულია, დარჩენილია შენობის ქვედა ნაწილი, რომელიც წარმოადგენს შენობის საწყის ზედა და ქვედა საძირკველს, რომელიც რკინა-ბეტონის კონსტრუქციისაა. დარჩენილი ნაწილის სიმაღლე დაახლოებით 14.8 მ.–ია)

ამ ეტაპისთვის შენობის დარჩენილი ნაწილის პარამეტრბიდან გამომდინარე (დ. 4 მ. და სიმაღლე 14.8 მ.) შესაძლებელია გამოყენებული იყოს მანქანა-მექანიზმები, ექსკავატორით აღჭურვილი ჰიდრავლიკური ჩაქუჩით. ყველა ზემოთ მოხსენებული წესის დაცვის შემდეგ უნდა მოხდეს დაშლის დაწყება დროებითი ღობის მოწყობის შემდეგ, საკადასტრო საზღვარზე და ასევე დამატებითი ისაფრთხოების ღობის მოწყობა სადემონტაჟო შენობის ცენტრიდან მინიმუმ 12.5 მ. მანძილზე. (ნორმით სიმაღლის 0.3-0.5) (აღნიშნული ეტაპი შესრულებულია მოთხოვნის შესაბამისად)

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს მიმდევრობითი მეთოდით ზემოდან ქვევით და სათანადო კომისიის დასწრებით.

პირველ ეტაპზე მოხდება საკომუნიკაციო კაბელებისა და ანტენების დემონტაჟი, (აღნიშნული ეტაპი შესრულებულია მოთხოვნის შესაბამისად)

უნდა ჩატარდეს მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და აღჭურვილობით, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე უსაფრთხოების დამატებითი დროებითი ღობის შიგა პერიმეტრზე უცხო პირთა შესვლა სასტიკად იკრძალება გარდა მომუშავე პერსონალისა რომელიც აღჭურვილია შესაბამისი უსაფრთხოების დამცავი ტანსაცმლით.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში.

თავდაპირველად მოხდება შენობების არსებული სამშენებლო ნაგვისგან გაწმენდა, დატვირთვა ა/მ და გატანა სამშენებლო მოედნიდან. სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანა მოხდება ავტოთვითმცლელებით.

4.6 სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

4.7 დაშლა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

V. დემონტაჟის წარმოების წესები და მეთოდები

5.1 მშენებლობის ორგანიზაცია და სადენმონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო„ სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებიდან. მათი ნაწილი (ტირაჟიდან შემორჩენილი) ინახება სამინისტროს შპს „მშენაღდგენაში“ და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

5.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშებლო ფირმამ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ 111-4-80 „„უსაფრთხოების ტექნიკაში“;

დამკვეთი		დირექტორი	პ. ნუცუბიძე			შპს არქიგრამ
		პრ. ავტორი	გ. გურგენიძე			
		შესრულა				
საპროექტო ობიექტის მისამართი		ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
ქალაქი თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე №57				A 4		15.12.2018
		სტადია				
		პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა				

ARCHIGRAM LTD 404998320

- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;
- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“

5.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

_ გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;

_ წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო და სადემონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში. ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები. კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში. მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად თუ სამშენებლო ნაგავი მტვრის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

VI. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

6.1. დემონტაჟის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში.

№	დასახელება	ერთეული	რაოდენობა
1	მობილური ამწე	ც	1
2	ექსკავატორი აღჭურვილი ჰიდრავლიკური ჩაქუჩით	ც	1
3	ექსკავატორი 0.5 მ³ ჩამჩის ტევადობით	ც	1
4	ავტოთვითმცლელი	ც	2
5	ლითონის ელექტრომჭრელი	ც	2
6	შედუღების აპარატი	ც	1
7	სანგრევი ჩაქუჩი	ც	2
8	უსაფრთხოების აღჭურვილობის სრული კომპლექსი (სამრეწველო ალპინიზმის შესაბამისი)	კომპლექტი	დემონტაჟზე მომუშავეთა რაოდენობის შესაბამისად
9	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპლექტი	5

ექსკავატორი აღჭურვილი ჰიდრავლიკური ჩაქუჩით

ჰიდრო ჩაქუჩის მასა ---------- 315 კგ.
ექსკავატორის მასა ---------- 5-9 ტ.
სამუშაო იარაღის დიამეტრი ----- 68 მმ.
ჩაქუჩის დარტყმის ძალა ---------- 849 დ.გ.

საქართველო. შპს "არქიგრამ" ARCHIGRAM 204998320 "ARCHIGRAM" LTD

	დამკვეთი	დირექტორი	პ. ნუცუბიძე			შპს არქიგრამ
		პრ. ავტორი	გ. გურგენიძე			
		შესასრულა				
	საპროექტო ობიექტის მისამართი	ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
	ქალაქი თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე №57			A4		15.12.2018
		სტადია				
		პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა				

VII. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისად. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე.

7.1 სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

7.2 მაღალ სადემონტაჟო სიმაღლეზე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ასვლისათვის უნდა დაიდგას ინვენტარული კიბეები ყოველ 25-30 მეტრზე და მოეწყოს ხარაჩოები.

7.3 სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

7.4 ზოგიერთ სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს და თავსაბურავებს.

7.5 ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

7.6 სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

VIII. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

8.1. დემონტაჟისას აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდინარე ტერიტორიის დამტვერიანებისაგან თავის ასაცილებლად. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანების ძარებში.

8.2 დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

8.3 ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზან-შეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

8.4 ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე შენობათა დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისად.

დამკვეთი	დირექტორი	პ. ნუცუ[illegible]
	პრ. ავტორი	გ. გურგე[illegible]
	შეასრულა	
საპროექტო ობიექტის მისამართი		
ქალაქი თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე №57		

ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
		A 4		15.12.2018

სტადია

პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა

შპს არქიგრამ

IX. დპ-ის შედგენისათვის ნორმატული ბაზა

9.1. სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია”.

9.2. სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლები მშენებლობაზე”.

9.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი სამხრეთის მთიანი რაიონებისათვის.

9.4. კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები „ამონაკრები მოქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან“ ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი ქართულ ენაზე.

9.5 სნ და წ III - 4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე”.

9.6 სამშენებლო ალპინიზმის იურიდიული ნორმრბი და ალპინისტური მოწყობილობების სახელმწიფო სტანდარტები:

Удерживающие системы. ГОСТ Р 12.4.205-99.

Стропы. ГОСТ Р 12.4.223-99.

Страховочные привязи. ГОСТ Р 12.4.224-99.

Соединительные элементы. ГОСТ Р 12.4.225-99.

Пояса предохранительные. ГОСТ Р 12.4.184—95.

Основные требования к инструкции по применению и маркировке. ГОСТ Р 12.4.226-99.

Методы испытаний. ГОСТ Р 12.4.206-99

საქართველო. შპს "არქიგრამ" ARCHIGRAM 204998320 "ARCHIGRAM" LTD

	დამკვეთი	დირექტორი	პ. ნუცუბიძე			შპს არქიგრამ
		პრ. ავტორი	გ. ბურგულაძე			
		შესრულა				
	საპროექტო ობიექტის მისამართი	ფურც.	ფურც.	ფორმატი	მასშტაბი	თარიღი
	ქალაქი თბილისი, ქუჩა სულხან ცინცაძე №57			A4		15.12.2018
		სტადია				
		პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა				

X სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების კალენდარული გრაფიკი

ქ. თბილისი. ქუჩა სულხან ცინცაძე №57

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	თვე	I						II						III						IV					
		თარიღი	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
1	ძირითადი სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდი. I ეტაპი																									
2	შენობაზე განთავსებული საპომუნიკაციო ქსელისა და ანტენების მოხსნა დემონტაჟი																									
3	II ეტაპი ძირითადი კონსტრუქციების დემონტაჟი. საძირკვლის დემონტაჟი.																									
4	III ეტაპი დამხმარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟი. დროებითი ღობის მოხსნა, ტერიტორიის დასუფთავება ნანგ. გატანა																									

შენიშვნა: შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სირთულიდან გამომდინარე საჭიროა დემონტაჟის ხანგრძლივობა განისაზღვროს 4 თვით

შესრულებული სამუშაოები

შესასრულებული სამუშაოები

შესასრულებული სამუშაოები შეადგენს 2- თვეს.





დემონტაჟის პროექტი

ქ. თბილისი
ს. ცინცაძის № 57

გენ-გეგმა

№01/1 სადემონტაჟო შენობა

1. სველი წერტილი
2. გასახდელი
3. საქმეთა წარმოების ოთახი
4. სამშენებლო ინსტრუმენტების საწყობი
5. ღია სასაწყობე მოედანი
6. მობილური ამწე
7. თვითმცლელი
8. ექსკავატორი ჰიდრავლიკური ჩაქუჩით

შენიშვნა:

სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული დამხმარე შენობა გამოყენებული იქნას როგორც დროებითი ნაგებობები და მისი დემონტაჟი მოხდეს ძირითადი შენობის დემონტაჟისა და სხვა ყველა სადემონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდგომ.

დამკვეთი

საპროექტო ობიექტის მისამართი

ახმეტელის მეტროს მიმდებარედ

დირექტორი	პ. ნუცუბიძე
პრ. ავტორი	გ. გურგენიძე
შეასრულა	

სტადია	ფურც.	თარიღი	მასშტაბი	ფორმატი
პრ. შე.		06.03.2018	1 : 500	A 3

შპს არქიგრამი

ARCHIGRAM



დემონტაჟის პროექტი

ქ. თბილისი
ს. ცინცაძის № 57

0.000 ნიშნული

დამკვეთი	

საპროექტო ობიექტის მისამართი

ახმეტელის მეტროს მიმდებარედ

დირექტორი	პ. ნუცუბიძე	
პრ. ავტორი	გ. გურგენიძე	
შეასრულა		

სტადია	ფურც.	თარიღი	მასშტაბი	ფორმატი
პრ. შე.		06.03.2018	1 : 500	A 3

შპს არქიგრამ



		დამკვეთი	
		საპროექტო ობიექტის მისამართი	ქალაქი თბილისი, ჭუჭა სულხან ცინცაძე №57

დირექტორი	ა. ნუცუბიძე		
პრ. ავტორი	გ. გურგენიძე		
შეასრულა			
თარიღი	მასშტაბი	ფორმატი	
15.12.2018		A 3	
სტადია			
პროექტის შეთანხმება მშენებლობის ნებართვა			

შპს არქიბრამ

საწყისი მდგომარეობა



არსებული მდგომარეობა





დემონტაჟის პროექტი

ქალაქი თბილისი, ქუჩა
სულხან ცინცაძე №57

არსებული ფოტოები

დამკვეთი	

საპროექტო ობიექტის მისამართი

ქალაქი თბილისი, ქუჩა
სულხან ცინცაძე №57

დირექტორი	პ. ნუცუბიძე
პრ. ავტორი	გ. გურგენიძე
შეასრულა	მ. აგლაძე

სტადია	ფურც.	თარიღი	მასშტაბი	ფორმატი
პრ. შე.		15.12.2018		A 3

შპს არქიგრამი

ARCHIGRAM